ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 39

18 დეკემბერი 2018 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

მოწვეული სტუმრები:

საფინანსო საქალაქო სამახური - გაიოზ თალაკვაძე.

სსიპ ქონების მართვის სააგენტო- ირაკლი თავართქილაძე

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ზარქუა
კომისიის წევრები: ლევან დავითაშვილი; ლევან არველაძე; რამინა ბერაძე; ალექსანდრე ხუჯაძე,დავით უთმელიძე; ლევან დარახველიძე.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ზარქუა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას, გააცნო და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. საფინანსო-საქალაქო სამსახურის წერილი 11-0118348489 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ

2. ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის II მ/რ, ბ.ჟღენტის ქუჩის მიმდებარედ არსებული 348 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი: 01.14.01.007.334) სსიპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/კ 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ. (№12-031834463-03)

3. ქალაქ თბილისში,მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებული 1756 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:№01.10.13.016.148) შპს „ალმასთვის" (ს/ნ 204873388) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანმხების თაობაზე.

(№12-03183411-03

4. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2013 წლის 24 სექტემბრის №E-218-12-7711 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის გადახდის

ვალდებულების დარღვევისათვის, სარგებლობის პირობების 10.1 პუნქტის საფუძველზე დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან ნიკა ლობჟანიძის (პ/ნ:60001122517) გათავისუფლების თაობაზე. (№12-0318340134-03)

5. ქალაქ თბილისში, შოთა ნადირაშვილის ქ.№34-ის მე-6 სართულზე („ა" ბლოკი) მდებარე ბინა №42-ის (ს/კ:№01.17.14.003.508.01.042) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" (№12-0318340121-03)

6. ქალაქ თბილისში,ქეთევან წამებულის გამზირი №67-ის მიმდებარედ არსებული 25 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ : №01.17.13.038.046) შპს „ჯორჯიან ბიზნეს კომპანიისთვის" (ს/კ:402072500) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. (№12-0318340121-03)

7. ქ.თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზ.№62-ის მიმდებარედ არსებული 292 კვმ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ:№01.14.11.003.029) 18 კვმ მიწის ნაკვეთის შპს „ემვე კომპანისთვის" (ს/კ 406127016) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე.

8. ქ.თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №37-ის მიმდებარედ არსებული 12 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ:404987305) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე. №12-0318340121-03

9. ქ.თბილისში,გლდანის ხევში,კორპ.4-ში მდებარე 47 კვმ ფართობის ბინა №28-ის (ს/კ: №01.11.05.002.007.01.028) პირდაპირი განკარგვის ფორმით პროვატიზების შესახებ. №12-0318340121-03

10. ქ.თბილისში,ორხევის დასახლებაში, ახვლედიანის ქუჩა კორპ.№2-ში (საკ/კოდი:№01.19.17.004.005.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარვის ფორმით პრივატიზების შესახებ. №12-0318340120-03

11. ქ.თბილისში, გლდანის მასივის VI მიკრო/რაიონის №7-ში (საკ/კოდი: №01.11.10.010.001.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ. №12-0318340120-03

12. ქ.თბილისში, კახეთის გზატკეცილი №89-ში (საკ/კოდი:№01.19.24.008.002.01.532; №01,19,24,008,002,01,533) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ. №12-0318340120-03

13. ქ.თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, დემეტრე თავდადებულის ქ.№10-ში (საკ/კოდი: №01.10.06.006.044.01.504) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. №12-0318340120-03

14. ქ.თბილისში, ჭიჭინაძის ქ.კორპ.№7-ში (საკ/კოდი: №01.19.23.019.001.01.502) მდებარე უძრავო ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. №12-0318340120-03

15. ქ.თბილისში, ლილოს დასახლების I მიკრორაიონის კორპ.№5-ში (საკ/კოდი: №01.19.27.007.014.01.055) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

№12-0318340120-03

16. ქ.თბილისში, ფონიჭალა 3-ის დასახლების კორპ.№17-ში (საკ/კოდი: №01.18.13.024.006.01.117) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. №12-0318340120-03

17. ქ.თბილისში, 9 მარტის პარკის ტერიტორიაზე არსებული 11521 კვმ მიწის ნაკვეთიდან (საკ/კოდი:№01.15.04.029.001) 40კვმ მიწის შპს „არტისთვის"(ს/ნ 437062919) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე. (№12-0318340117-03)

18. ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №47-ის მიმდებარედ 7 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:№01.16.05.021.033) პირდაპირი განკარგვის წესით ცაბუ პატარაძისთვის (პ/ნ 01030001330) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე .№12-0318340117-03

19. ქ.თბილისში, რეხის ქუჩა №6-ში (საკ/კოდი: №01.16.08.004.065.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შეთანხმების თაობაზე. №12-03183040118-03

20. ქ.თბილისში, საქსოფმანქანის დასახლებაში, მე-4 კვარტლის კორპ.№5-ში (საკ/კოდი: №01.19.27.007.013.01.059) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შეთანხმების თაობაზე. №12-03183040118-03

21. ქ.თბილისში, ქინძმარაულის შესახვევის კორპ.№16-ში (საკ/კოდი : №01.19.33.003.021.01.041) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შეთანხმების თაობაზე". №12-03183040118-03

22. ქ.თბილისში, ბერიაშვილის ქ.№6-ში (ნაკვეთი №04/033) (საკ/კოდი:№01.19.19.004.033) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შეთანხმების თაობაზე". №12-03183040118-03

23. ქ.თბილისში, ვანის ქ.№15-ში (საკ/კოდი:№01.13.06.002.026) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შეთანხმების თაობაზე. (№12-03183040118-03)

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა **გაიოზ თალაკვაძემ.** მისი განმარტებით ნაძალადევისა და საბურთალოს რაიონის გამგეობებს „სხვა სოციალური დახმარებების" პროგრამაში სჭირდებათ დამატებით თანხები. ნაძალდევის რაიონის გამგეობას 79 390 ლარი, საბურთალოს რაიონის გამგეობას 67 090 ლარი. გარდა ამისა ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური ითხოვს შემდეგი პროგრამების თანხების

გაზრდას: „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება“(კოდი 06 01 07) - 74 000 ლარით; „ტრანსპლანტაცია“ (კოდი 06 01 13) – 160 000 ლარით და „სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის მე-3, მე-4, მე-5 და მეტი შვილის დაბადებისთვის „ახალშობილთა“ ერთჯერადი მატერიალური დახმარება’ (კოდი 06 02 03)- 12 000 ლარით. დაბალანსება ხდება სხვადასხვა პროგრამებში არსებული ეკონომიებით.

მომხრე- 7

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი „თბილისის მუნიციპლიტეტის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ”, სადაც ნაძალადევის და საბურთალოს რაიონული გამგეობები და ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური ითხოვს მათთვის მიკუთნებულ პროგრამა/ქვეპროგრამების წლიურ გეგმებში ასიგნებების გადანაწილებას , ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად **მიეცეს თანხმობა გადანაწილებას საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი წერილის** (№11-0118348489) დანართის შესაბამისად.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ ქონების საკითხებზე ისაუბრა ირაკლი თავართქილაძემ.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის II მ/რ, ბ.ჟღენტის ქუჩის მიმდებარედ არსებული 348 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი: 01.14.01.007.334) სსიპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/კ 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ.

აღნიშნულ მისამართზე 348 კვმ მიწის ნაკვეთი სიმბოლურ ფასად გადაეცემა საპატრიარქოს მიმდებარედ არსებული ეკლესიასთან სამრეკლოსა და დამხმარე ნაგებობების მშენებლობისათვის.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს:ქალაქ თბილისში,მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებული 1756 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:№01.10.13.016.148) შპს „ალმასთვის“ (ს/ნ 204873388) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანმხების თაობაზე.

შპს „ალმა“-ს 2008 წლის ივლისის თვეში გადაეცა პირდაპირი განკარგვის წესით მიწის ნაკვეთები, მ.შ ქ.თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირზე არსებული 19 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.17.10.011.038) აღნაგობის უფლებით გადასასვლელი ხიდების მოწყობის მიზნით 2023 წლამდე ვადით. კომპანიას აგრეთვე მიეცა უფლება, გადასასვლელ ხიდზე განეხორციელებინა სარეკლამო საქმიანობა.

მუნიციპალური განვითარების ფონდმა ,რომელიც ახორციელებს, მარშალ გელოვანის გამზირის გადაკვეთაზე, ,,ვეფხვი და მოყმის'' ძეგლთან სატრანსპორტო კვანძის მოწყობას, წერილობით მოითხოვა სარეკლამო ბანერების და საქალაქო ტრანსპორტის მოსაცდელის დემონტაჟის განხორციელება (გზის გათავისუფლება). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტომ კომპანიებს, რომელთაც მითითებული ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე გააჩნდათ სარგებლობის უფლება, გაუგზავნა მოთხოვნა/მითითება მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, მარშალ გელოვანის გამზირის გადაკვეთაზე, ,,ვეფხვი და მოყმის'' ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული საქალაქო ტრანსპორტის მოსაცდელი კონსტრუქციის, ასევე, სარეკლამო ბანერების დემონტაჟთან დაკავშირებით.

სააგენტოს თხოვნის საფუძველზე, შპს ,,ალმამ'' (ს/ნ 204873388) განახორციელა N01.17.10.011.038 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული გადასასვლელი ხიდის დემონტაჟი და სააგენტოს წარუდგინა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2018 წლის 28 სექტემბრის N006754018, 24 ოქტომბრის N007424918 და 19 ნოემბრის N008000818 ექსპერტიზის დასკვნები. წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნების მიხედვით, ქ.თბილისში, ვაშლიჯვრის ასახვევთან, მარშალ გელოვანის ხეივანში გადასასვლელი ხიდის დემონტაჟის სამუშაოებზე შპს ,,ალმას'' მიერ გაწეულია 32 269,86 ლარის ოდენობით დანახარჯი, ხოლო 2018 წლის 1 აგვისტოდან - 2023 წლის 9 ივლისამდე განვლილ პერიოდში, გადასასვლელ ხიდზე განთავსებული 200 კვ.მ სარეკლამო აბრის გაქირავებით, შპს ,,ალმა'' მიიღებდა 647 335 ლარს.

2018 წლის 19 ნოემბრის N008000818 ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით ქ.თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებული 1756 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.016.148) ღირებულება, რომელიც სანაცვლოდ გადაეცემა კომპანიას შეადგენს 830 707 ლარს.

ამავე დროს შპს „ალმა“ აღნიშნავს, რომ N01.10.13.016.148 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედაც კომპანია ახორციელებს სამშენებლო სამუშაოებს და მზადყოფნას გამოთქვამს დაფაროს მითითებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულების, გადასასვლელი ხიდის დემონტაჟის ხარჯებისა და მიუღებელ შემოსავალს შორის არსებული სხვაობა, რომელიც შეადგენს 160 103 ლარს.

ზემოაღნიშულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ შპს ,,ალმას'' მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო შეუწყდა სარგებლობის უფლება, შესაბამისად ის სარეკლამო საქმიანობის განხორციელების გზით ვერ მიიღებს შემოსავალს, და იმის გათვალისწინებითაც, რომ კომპანიამ საკუთარი ხარჯებით განახორციელა გადასასვლელი ხიდის დემონტაჟი და გასწია შესაბამისი ხარჯი, თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია შპს ,,ალმას'' საკუთრებაში

გადაეცეს ქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებული 1756 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.10.13.016.148) მისი საბაზრო ღირებულების, გადასასვლელი ხიდის დემონტაჟის ხარჯებისა და მიუღებელ შემოსავალს შორის არსებული სხვაობის ოდენობით გადახდის გზით.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2013 წლის 24 სექტემბრის №E-218-12-7711 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულების დარღვევისათვის, სარგებლობის პირობების 10.1 პუნქტის საფუძველზე დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამრეხლოსაგან ნიკა ლობჟანიძის (პ/ნ:60001122517) გათავისუფლების თაობაზე.

აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადებულ ფიზიკური პირს - ნიკა ლობჟანიძეს (პ/ნ: 60001122517) , სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 10 წლის ვადით გადაეცა ქ.თბილისში, ლესელიძის ქუჩა N12-ის მიმდებარედ არსებული 26 კვ.მ მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.18.03.026.016). სარგებლობის წლიური საფასური განისაზღვრა 6000 (ექვსი ათასი) ლარის ოდენობით, რომლის გადახდა მოიჯარის მიერ უნდა განხორციელებულიყო 6 თვეში ერთხელ, საანგარიშო თვის 5 რიცხვამდე. სარგებლობის საფასურის (ქირის) გადაუხდელობის ან გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლო განსაზღვრული იყო ქირის 0,1%-ის, მაგრამ არანაკლებ 1 (ერთი) ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ნიკა ლობჟაძეს არქიტექტურის სამსახურმა არ მოსცა აღნაგობის უფლება.საქმე განიხილებოდა სასამრთლოში და სასამართლომ ნიკა ლობჟანიძის სასარგებლოდ მიიღო გადაწყვეტილება და არქიტექტურის სამსახურს დაევალა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. ვინაიდან ნიკა ლობჟანიძემ, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ვერ ისარგებლა ქ.თბილისში, ლესელიძის ქუჩა N12-ის მიმდებარდ არსებული 26 კვ.მ მიწის ნაკვეთით და ამის თაობაზე არაერთხელ აცნობა სააგენტოს, თუმცა საიჯარო ქირისა და პირგასამტეხლოს დარიცხვა მაინც გაგრძელდა, აღნიშნული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, ნიკა ლობჟანიძემ მოითხოვა ფინანსური ვალდებულებისაგან გათავისუფლება.

საკრებულოს სხდომამ საკითხის საკრებულოში იურიდიულად არასწორი ფორმულირებით წარმოდგენის გამო გადადო, რაც გათვალისწინებულია და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 4 დეკემბრის №18.974.1381 განკარგულებით საკრებულოში წარმოგდენილია თანხმობისათვის წინადადება: ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2013 წლის 24 სექტემბრის NE-218-12-7711 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულების დარღვევისათვის, სარგებლობის პირობების 10.1 პუნქტის საფუძველზე

დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან ნიკა ლობჟანიძის (პ/ნ: 60001122517) გათავისუფლების საკითხი.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, შოთა ნადირაშვილის ქ.№34-ის მე-6 სართულზე („ა" ბლოკი) მდებარე ბინა №42-ის (ს/კ:№01.17.14.003.508.01.042) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"

მოქალაქე მზია ნინოშვილს (პ/ნ 01005003810) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით სიმბოლურ ფასად გადაეცემა აღნიშნულ მისამართზე, დირსში 97,78 კვმ ფართის უძრავი ქონება. მზია ნინოშვილმა, რომელიც არის სპორტის ტანვარჯიშში ევროპის ჩემპიონი და საქართველოს შვიდგზის ჩემპიონი, 1991 წელს რაჭაში მომხდარი მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად სახელმწიფოს გადასცა 110 სააგარაკე კოტეჯი, გარდა ამისა ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერიტეტს და ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტს, ქველმოქმედების სახით გადასცა საერთო ჯამში 4000 ცალი წიგნი. არის უსახლკაროდ დარჩენილი 9 სულიანი ოჯახი. მისი დამსახურებების გათვალისწინებით მიზანშეწონილია აღნიშნული ქონების გადაცემა სიმბოლურ ფასად.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში,ქეთევან წამებულის გამზირი №67-ის მიმდებარედ არსებული 25 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ : №01.17.13.038.046) შპს „ჯორჯიან ბიზნეს კომპანიისთვის" (ს/კ:402072500) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

შპს „ჯორჯიან ბიზნეს კომპანიისთვის" (ს/კ:402072500) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაეცემა აღნიშნულ მისამართზე 25 კვმ მიწის ნაკვეთი ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის მოქმედების ვადად განისაზღვრა 2023 წლის 2 მაისამდე პერიოდი,წლიურ საიჯარო ქირად განისაზღვრა 3000 ლარი.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ.თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზ.№62-ის მიმდებარედ არსებული 292 კვმ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ:№01.14.11.003.029) 18 კვმ მიწის ნაკვეთის შპს „ემვე კომპანისთვის“ (ს/კ 406127016) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე.

შპს „ემვე კომპანისთვის“ (ს/კ 406127016) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემა აღნიშნულ მისამართზე 18 კვმ მიწის ნაკვეთი ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის მოქმედების ვადად განისაზღვრა 2022 წლის 28 ივნისამდე პერიოდი.წლიურ საიჯარო ქირად 2600 ლარი.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ.თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №37-ის მიმდებარედ არსებული 12 კვმ მიწის ნაკვეთის შპს „არქი თაუერისათვის“(ს/კ:404987305) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ.

შპს „არქი თაუერისათვის“(ს/კ:404987305) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაეცემა 12 კვმ მიწის ნაკვეთი კიბის ფუნქციონირების მიზნით. იჯარის მოქმედების ვადად განისაზღვრა 10 წელი.წლიურ საიჯარო ქირად 1500 ლარი.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ.თბილისში, გლდანის ხევში, კორპ.4-ში მდებარე 47 კვმ ფართობის ბინა №28-ის (ს/კ: №01.11.05.002.007.01.028) პირდაპირი განკარგვის ფორმით პროვატიზების შესახებ.

ფიზიკურ პირს იოსებ ჭაღიაშვილს (პ/ნ 01019020996) , რომელიც არის თბილისში 2002 წელს მომდარი მიწისძვრით დაზარალებული სიმბოლურ ფასად გადაეცემა 47 კვმ ფართობი აღნიშნულ მისამართზე. მას სასამართლოს გადაწყვეტილებითაც მიკუთვნებული აქვს აღნიშნული ქონება.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ.თბილისში, ორხევის დასახლებაში, ახვლედიანის ქუჩა კორპ.№2-ში (საკ/კოდი:№01.19.17.004.005.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარვის ფორმით პრივატიზება.

ახვლედიანის ქუჩა კორპ.№2-ში (საკ/კოდი:№01.19.17.004.005.01.004) მდებარე უძრავი ქონება სიმბოლურ ფასად გადაეცემა გოდერძი ცანავას (პ/ნ 60002007926). მოქალაქე ოჯახთან ერთად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე 2002 წლიდან. შუამდგომლობს სამგორის რაიონის გამგეობა.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოიმსინეს: ქ.თბილისში, გლდანის მასივის VI მიკრო/რაიონის №7-ში (საკ/კოდი: №01.11.10.010.001.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

ფიზიკურ პირს, ნანა ძნელაძეს (პ/ნ 46001014965) სიმბოლურ ფასად გადაეცემა აღნიშნულ მისამართზე მდებარე უძრავი ქონება. მოქალაქეს შუამდგომლობს გლდანის გამგეობა. ნანა ძნელაძე ამ მისამართზე ოჯახთან ერთად ცხოვრობს 2000 წლიდან.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ.თბილისში, კახეთის გზატკეცილი №89-ში (საკ/კოდი:№01.19.24.008.002.01.532; №01,19,24,008,002,01,533) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.

ლუბა ჩიპლიევას (პ/ნ 01032004214), რომელიც აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს 1965 წლიდან შუამდგომლობს სამგორის რაიონის გამგეობა და მას გადაეცემა კახეთის გზატკეცილი №89-ში (საკ/კოდი:№01.19.24.008.002.01.532; №01,19,24,008,002,01,533) მდებარე უძრავი ქონება სიმბოლურ ფასად.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ.თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, დემეტრე თავდადებულის ქ.№10-ში (საკ/კოდი: №01.10.06.006.044.01.504) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მზია ნემსაძეს , რომელიც 1990 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, სიმბოლურ ფასად გადაეცემა დიდი დიღმის დასახლებაში, დემეტრე თავდადებულის ქ.№10-ში (საკ/კოდი:

№01.10.06.006.044.01.504) მდებარე უძრავი ქონება. მზია ნემსაძეს შუამდგომლობა გაუწია საბურთალოს რაიონის გამგეობამ.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ.თბილისში, ჭიჭინაძის ქ.კორპ.№7-ში (საკ/კოდი: №01.19.23.019.001.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

ნანა ასტამაძეს(პ/ნ 01027053972), რომელის არის მრავალშვილიანი, სოციალურად დაუცველი ოჯახი, შუამდგომლობს სამგორის რაიონის გამგეობა , სიმბოლურ ფასად გადაეცემა ჭიჭინაძის ქ.კორპ.№7-ში (საკ/კოდი: №01.19.23.019.001.01.502) მდებარე უძრავი ქონება.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ.თბილისში, ლილოს დასახლების I მიკრორაიონის კორპ.№5-ში (საკ/კოდი: №01.19.27.007.014.01.055) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება

მანანა გიგაურს (პ/ნ 01019041754) , რომელსაც შუამდგომლობს სამგორის რაიონის გამგეობა, სიმბოლურ ფასად გადაეცემა აღნიშნულ მისამართზე მდებარე უძრავი ქონება. პიროვნება დიდი ხნის განმავლობაში ფლობს აღნიშნულ ფართს.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ.თბილისში, ფონიჭალა 3-ის დასახლების კორპ.№17-ში (საკ/კოდი: №01.18.13.024.006.01.117) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

ლიანა კაიშაურს (პ/ნ01009008376), რომელიც 10 წელია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, კრწანისის რაიონის შუამდგომლობის საფუძველზე მას გადაეცემა უძრავი ქონება სიმბოლურ ფასად.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს:ქ.თბილისში, 9 მარტის პარკის ტერიტორიაზე არსებული 11521 კვმ მიწის ნაკვეთიდან (საკ/კოდი:№01.15.04.029.001) 40კვმ მიწის შპს „არტისთვის"(ს/ნ 437062919) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე.

შპს „არტისთვის"(ს/ნ 437062919) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაეცემა 40 კვმ მიწის ნაკვეთი ღია კაფეს მოწყობის მიზნით. წლიური საიჯარო ქირაა 7700 ლარი.იჯარის მოქმედების ვადა 2023 წლის 19 ივნისამდე პერიოდი

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს:ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №47-ის მიმდებარედ 7 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:№01.16.05.021.033) პირდაპირი განკარგვის წესით ცაბუ პატარაძისთვის (პ/ნ 01030001330) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე

ცაბუ პატარაძეს (პ/ნ 01030001330) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაეცემა 7 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:№01.16.05.021.033), ღია კაფეს მოსაწყობად. წლიური საიჯარო ქირაა 1300 ლარი.იჯარის მოქმდებეის ვადა 5 წელი.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს:ქ.თბილისში, რეხის ქუჩა №6-ში (საკ/კოდი: №01.16.08.004.065.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება

დოდო დავითულიანს(პ/ნ 01011048728) სიმბოლურ ფასად გადაეცემა რეხის ქუჩა №6-ში (საკ/კოდი: №01.16.08.004.065.01.500) მდებარე 63,10კვმ ფართის უძრავი ქონება. მოქალაქე აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს 1994 წლიდან.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ.თბილისში, საქსოფმანქანის დასახლებაში, მე-4 კვარტლის კორპ.№5-ში (საკ/კოდი: №01.19.27.007.013.01.059) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე' თანხმობის მიცემის შესახებ

მაყვალა ჯავახიშვილს (პ/ნ 01019004195) სამგორის რაიონის გამგეობის შუამდგომლობით სიმბოლურ ფასად გადაეცემა აღნიშნულ მისამართზე 70 კვმ ფართის უძრავი ქონება. მოქალაქე უძრავ ქონებას ფლობს 2002 წლიდან.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ.თბილისში, ქინძმარაულის შესახვევის კორპ.№16-ში (საკ/კოდი : №01.19.33.003.021.01.041) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" თანხმობის მიცემის შესახებ.

ლიანა კიკნაძეს (პ/ნ 01024056232) და ილია ოთარაშვილს (პ/ნ 01029004831) სიმბოლურ ფასად გადაეცემათ ქინძმარაულის შესახვევის კორპ.№16-ში (საკ/კოდი : №01.19.33.003.021.01.041) მდებარე 18 კვმ ფართის ბინა.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ.თბილისში, ბერიაშვილის ქ.№6-ში (ნაკვეთი №04/033) (საკ/კოდი:№01.19.19.004.033) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" თანხმობის მიცემის შესახებ

სამგორის რაიონის გამგეობის შუამდგომლობით 16 ოჯახს, რომლებიც დიდი ხანია ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე, სიმბოლურ ფასად გადაეცემათ საერთო ჯამში 958,09 კვმ ფართის უძრავი ქონება.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ.თბილისში, ვანის ქ.№15-ში (საკ/კოდი:№01.13.06.002.026) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

დიდუბის რაიონის გამგეობის შუამდგომლობით 8 ოჯახს სიმბოლურ ფასად გადაეცემათ სართო ჯამში 286,15 კვმ ფართი სიმბოლურ ფასად.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუა